განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B11050496**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 30 მარ 2011 13:10:21
განცხადების ნომერი: 276791
განცხადების მიღების დრო: 30 მარ 2011 13:09:37

# განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო //), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია

მომსახურება: **1** სამუშაო დღის ვადაში საფასურის გარეშე

---

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS–ის საშუალებით. სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა. ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ტელეფონზე **251527** ან საინფორმაციო ცენტრში **09**. ინფორმაციის მიღება შეიძლება აგრეთვე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე: **www.reestri.gov.ge**

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: **251527**; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ან "ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერის მიღება შეგიძლიათ "ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალსა და სერვის-ცენტრში.

სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ნებისმიერი სახის უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში დაუკავშირდით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურს ტელეფონის ნომერზე **8800282828**

276791
გადახდის ნომერი: EN276791

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებელი: **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი:
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი:

წარმომადგენელი: **ივანე ბურდული**
პირადი ნომერი: **06001000206**
მისამართი: **თბილისი მ.გორკის ქ. N 17**

# განცხადება

მოვითხოვ მოახდინოთ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია
საიდენტიფიკაციო კოდი: **211325653**

**შესაცვლელი რეკვიზიტი**

- პარტნიორის ცვლილება
- სადამფუძნებო დოკუმენტების ცვლილება

**თანდართული დოკუმენტაცია:**

- წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- წესდება (პარტნიორთა შეთანხმება)
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან
- ბრძანება #169 სხდომის ოქმი

არის თუ არა საწარმოს საქმიანობა დაკავშირებული:

სურსათის /ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასთან, რეალიზაციასთან, სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგებასთან, საზოგადოებრივ კვების ობიექტთან

მონიშნეთ ერთერთი

☐ დიახ

☑ არა

მომსახურების საფასური : 0 ლარი.

განმცხადებელი პირი: --------------------------------------/ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო /

წარმომადგენელი პირი: --------------------------------------/ ივანე ბურდული /

განცხადების წარდგენის თარიღი: 30 მარ 2011 13:09:37

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 272982
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11046761
ამონაწერის მომზადების თარიღი: 25/03/2011 15:48:57

---

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 211325653 |
| სამართლებრივი ფორმა: | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 25/03/2011 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | საჯარო რეესტრი |
| საგადასახადო ინსპექცია: | თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა |
| შენიშვნა: | 2011 წლის 21 მარტის N136 საქართველოს მთავრობის დადგენილებით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის უფლებამონაცვლეს. |

---

## ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01024009776, ლაშა გოცირიძე,
  , , რექტორი, წარმომადგენელი

---

## დამფუძნებლები

---

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

---

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №169

თბილისი 23 03 2011 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ცვლილებაზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს აგრარული განათლებისა და მეცნიერების განვითარების ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 მარტის #136 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობასა და ააიპ „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდს" შორის 2011 წლის 16 მარტს გაფორმებული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ცვლილებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსს, ივანე ზურდულს (პირადი #06001000206).

დიმიტრი შაშკინი




| | |
|---|---|
| პირადი ნომერი | 06001000206 |
| სახელი | ივანე |
| მამის სახელი | ივანე |
| გვარი | **ბურდული** |
| დაბადების თარიღი | 1979-01-01T00:00:00 |
| დაბადების ადგილი | საქართველო, თბილისი |
| მისამართი | **თბილისი მ.გორკის ქ. N 17** |
| პირადობის მოწმობის სერია | ა1016448 |
| მოწმობის გამცემი ორგანო | სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ჩუღურეთის სამსახური |
| გაცემის თარიღი | 2006-12-06T00:00:00 |
| მოქმედების ვადა | 2016-12-06T00:00:00 |
| მოქალაქეობა | საქართველო |
| რეგ. თარიღი | 1996-09-10T00:00:00 |
| სტატუსი | აქტიური |
| ფოტოები | ფოტო #1 ფოტო #2 |

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის**

**საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის**

**დამფუძნებელთა კრების სხდომის**

**ოქმი #1**

თბილისი 2011 წლის 30 მარტი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი ივანე ბურდული;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდის“ დირექტორი გიორგი მელაძე

**დღის წესრიგი:**

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის“ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილებების განხორციელება

**დამფუძნებლებმა ერთხმად დაადგინეს:**

- „საქართველოს აგრარული განათლებისა და მეცნიერების განვითარების ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 მარტის #136 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობასა და ააიპ „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდს“ შორის 2011 წლის 16 მარტს გაფორმებული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის“ ერთადერთ დამფუძნებლად განისაზღვროს ააიპ „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდი“

ივანე ბურდული
საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტრო

ი. ბურდული

06001000206

ივანე ბურდული

გიორგი მელაძე
აიპ „აგრარული განათლებისა და
მეცნიერების ფონდის“ დირექტორი

გიორგი მელაძე

პ/ნ 01007008494

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №292
თარიღი „30“ მარტი 2011 წ.
გვ.რაოდენობა ... ხელმოწერა ...

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის

წესდება

მუხლი 1. სამართლებრივი სტატუსი

1.1. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (შემდგომში: უნივერსიტეტი) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
1.2. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ
1.3. უნივერსიტეტის საფინანსო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.
1.4. უნივერსიტეტი დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.
1.5. უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით.
1.6. უნივერსიტეტის დამფუძნებელია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდი," ს/კ 404891186, იურიდიული მისამართი, ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირი #40.

მუხლი 2. უნივერსიტეტის მიზნები

2.1. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
2.2. ახალი ცოდნის შექმნა.
2.3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

მუხლი 3. უნივერსიტეტის დამფუძნებლის უფლება–მოვალეობები

უნივერსიტეტის დამფუძნებლის უფლება –მოვალეობებია:
ა. უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
ბ. რექტორის დანიშვნა და გათავისუფლება;
გ. წესდებაში ცვლილების შეტანა;
დ. ამ წესდებით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობები

მუხლი 4. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები

უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია სამეთვალყურეო საბჭო, რექტორი და კანცლერი.

მუხლი 5. უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო

5.1. უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ნიშნავს დამფუძნებელი.
5.2. უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო ასრულებს დამფუძლებლის მიერ განსაზღვრულ ყველა უფლება-მოვალეობას.
5.3. უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭო შეიძლება შედგებოდეს ერთი ადამიანისაგან, რომელიც ამავდროულად არის საბჭოს თავჯდომარე, ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტის საბჭოს თავმჯდომარე გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად.
5.4. თუ სამეთვალყურეო საბჭო შედგება ერთზე მეტი წევრისგან, ის უფლებაუნარიანია, თუ საბჭოს სხდომაში მონაწილეობას იღებს წევრთა ნახევარზე მეტი. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.
5.5. თუ დამფუძნებელი არ შექმნის სამეთვალყურეო საბჭოს, მაშინ ის თავად იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც საბჭოს კომპეტენციაში შედიან.

საქართველოს
საჯარო რეესტ
შ
თარიღი "___"
გვ.რაოდენობა...

მუხლი 6. საბჭოს უფლება–მოვალეობები

6.1. უნივერსიტეტის კანცლერის დანიშვნა და გათავისუფლება;
6.2. უნივერსიტეტის რექტორის და კანცლერის საქმიანობის ზედამხედველობა
6.3. რექტორის მიერ წარდგენილი დეკანის კანდიდატურის დამტკიცება.
6.4. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენისა და შეცვლის წესების და ბიუჯეტის დამტკიცება.
6.5. ფინასური რესურსების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
6.6. რექტორის წარდგინებით უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების შექმნაზე და გაუქმებაზე თანხმობის მიცემა;
6.7. უნივერსიტეტის საგანამანათლებლო პროგრამების დამტკიცება.
6.8. პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და საკონკურსო კომისიის შესახებ დებულების დამტკიცება.
6.9. საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით განსაზღვრული სხვა უფლება–მოვალეობები.

მუხლი 7. რექტორი

7.1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება რექტორს.
7.2. რექტორი უძღვება უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობას, კერძოდ:
ა. კოორდინაციას უწევს საგანამანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) შექმნისა და განხორციელების პროცესს;
ბ. ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობას;
გ. განსაზღვრავს და საბჭოს უთანხმებს უნივერსიტეტის სწავლების პოლიტიკას;
დ. საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს დეკანის კანდიდატურებს;
ე. საბჭოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულ(ებ)ის შექმნისა და გაუქმების შესახებ, რომელსაც აღასრულებს კანცლერი.
ვ. ახორციელებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც გამომდინარეობენ უნივერსიტეტის ყოველდღიური აკადემიური საქმიანობიდან.
7.3. რექტორი მისი უფლებამოსილებების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.
7.4. უნივერსიტეტის რექტორია ლაშა გოცირიძე (პ/ნ 01024009776, დაბადებული ქალაქ სოხუმში, 1975 წლის 30 ოქტომბერს, მცხოვრები თბილისში, გოთუას ქ. #10/12)

მუხლი 8. კანცლერი

8.1. კანცლერი უძღვება უნივერსიტეტის ყოველდღიურ ადმინისტრაციულ საქმიანობას, კერძოდ:
ა. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად დებს და აუქმებს ხელშეკრულებებს პერსონალთან;
ბ. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის შესახებ გადაწყვეტილებებს.
გ. ადგენს, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს და მართავს უნივერსიტეტის ბიუჯეტს;
დ. საბჭოს თანხმობით და რექტორის გადაწყვეტილების შესაბამისად ქმნის და აუქმებს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს.
ე. ახორციელებს სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს, რომლებიც გამომდინარეობენ უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობიდან.
8.2. კანცლერი მისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

№292
ხელმოწერა

**მუხლი 9. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული (სკოლა/ინსტიტუტი)**

უნივერსიტეტის სკოლა/ინსტიტუტი არის უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში ან/და ახორციელებს სხვა აკადემიურ–სამეცნიერო საქმიანობას.

**მუხლი 10. დეკანი**

10.1. დეკანს ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭო, რექტორის წარდგინებით.
10.2. დეკანი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საქმიანობის ორგანიზებაზე:
ა. ადგენს უნივერსიტეტის ძირითადი საგანამანათლებლო ერთეულის კურიკულუმ(ებ)ს;
ბ. ამ წესდების შესაბამისად ახორციელებს უნივერსიტეტის ძირითადი საგანამანათლებლო ერთეულის ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე სხვა უფლება–მოვალეობებს.

**მუხლი 11. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები**

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი/ინსტიტუტი არის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, სადაც წარიმართება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

**მუხლი 12. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია**

უნივერსიტეტის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნივერსიტეტის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

**მუხლი 13. დასკვნითი დებულებები**

13.1. წინამდებარე წესდებაში ცვლილებებს ან/და ახალ წესდებას იღებს უნივერსიტეტის დამფუძნებელი.
13.2. წინამდებარე წესდების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად აღიარება გავლენას არ იქონიებს მთლიანად წესდების იურიდიულ ძალაზე.

2011 წლის 30 მარტი

გიორგი მელაძე
აიპ „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდის“ დირექტორი

გიორგი მელაძე

პ/ნ 01007008494

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №292
თარიღი 30 მარტი 2011 წ.
გვ.რაოდენობა 3(სამი) ხელმოწერა

მინისტრო
სააგენტო
200 წ.




| | |
|---|---|
| პირადი ნომერი | 06001000206 |
| სახელი | ივანე |
| მამის სახელი | ივანე |
| გვარი | ბურდული |
| დაბადების თარიღი | 1979-01-01T00:00:00 |
| დაბადების ადგილი | საქართველო, თბილისი |
| მისამართი | თბილისი მ.გორკის ქ. N 17 |
| პირადობის მოწმობის სერია | ა1016448 |
| მოწმობის გამცემი ორგანო | სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ჩუღურეთის სამსახური |
| გაცემის თარიღი | 2006-12-06T00:00:00 |
| მოქმედების ვადა | 2016-12-06T00:00:00 |
| მოქალაქეობა | საქართველო |
| რეგ. თარიღი | 1996-09-10T00:00:00 |
| სტატუსი | აქტიური |
| ფოტოები | ფოტო #1 ფოტო #2 |